

---

## საკანონმდებლო სიხსლენი

### საქართველოს კანონი „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“

დავით ბაზაიშვილი\*

მოცემული კანონის მიღება განპირობებული იყო საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის გამოსწორების აუცილებლობით. კერძოდ, სხვადასხვა საქმიანობის განხორციელებით და სახელმწიფო ორგანოების მიერ ამა თუ იმ მომსახურების განწესების მოსაკრებლები და მათი გადახდის წესი დგინდებოდა კანონქვემდებარე აქტებით: პრეზიდენტის ბრძანებულებით, მინისტრის ბრძანებით და ა.შ. მაგალითად, მოსაკრებლების გადახდა, რაც დაკავშირებული იყო სამენარმეო და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციასთან, ხორციელდებოდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 11 აპრილის №196 დადგენილებით „სანარმოთა და მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების რეგისტრაციისათვის სარეგისტრაციო მოსაკრებლის დაწესების თაობაზე“; სარეგისტრაციო მოსაკრებელს იარაღის რეგისტრაციისათვის ადგენდა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 14 მაისის №321 ბრძანებულება „ცეცხლსასროლი და გაზის იარაღის სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“; ასევე მოქმედებდა „საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის, სანომრე ნიშნების, მართვის მოწმობებისა და ტექნიკური პასპორტების დამზადების, გაცემისა და აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 19 მაისის №139 განკარგულება და სხვა. თითქმის ყველა სახის რეგისტრაცია და მომსახურება წესრიგდებოდა ცალკეული უწყებების მიერ. ეს მაშინ, როცა საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის თანახმად, გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, მათი ოდენობის დადგენა და გადახდის წესის განსაზღვრა შეიძლება მხოლოდ კანონით.

სახეზე იყო საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნის აშკარა დარღვევა, რაც ეჭვქვეშ აყენებდა ზემოაღნიშნული აქტების საფუძველზე განხორციელებული თითოეული ქმედების (რეგისტრაცია, მოსაკრებლის ამოღება) სამართლიანობას. აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მომზადდა, ფინანსთა სამინისტროში გადამუშავდა და 2002 წლის 10 აპრილს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“, რომელიც ადგენს რეგისტრაციასთან დაკავშირებული მოსაკრებლების სახეებსა და განაკვეთებს, მათი გადახდის წესსა და ვადებს.

კანონის მე-2 მუხლი განსაზღვრავს სარეგისტრაციო მოსაკრებლის ცნებას, რომლის თანახმად „სარეგისტრაციო მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი საქართველოს ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან ამ კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით, მათთვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ან/და პროდუქციით და საქონლით სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების მიერ მათთვის განუხლებელი მომსახურებისათვის“.

სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის წესი მოცემულია კანონის მე-3 მუხლში. ამავე მუხლში მითითებულია, რომ დაუშვებელია პირს დაეკისროს ისეთი სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება, რომელიც ამ კანონით არ არის გათვალისწინებული. მე-7 მუხლი მოიცავს სარეგისტრაციო მოსაკრებლების სახეებისა და შესაბამისი განაკვეთების

---

\* GEPLAC-ის ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში.

ამომწურავ ჩამონათვალს და იქვე უთითებს ამგვარი რეგისტრაციის უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო დაწესებულებებს. კანონის მე-4 მუხლი განსაზღვრავს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლებს, ხოლო მე-8 მუხლი აწესებს შეღავათებს სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდაზე. ამგვარად, კანონს სიცხადე შემოაქვს აღნიშნულ სფეროში და შესაძლებლობას აძლევს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს თავი აარიდონ სხვადასხვა უკანონოდ დაწესებულ მოსაკრებლებს.

„სარეგისტრაციო მოსაკრებლის შესახებ“ კანონის მიღებით ხელისუფლება იმედოვნებს არა მხოლოდ არსებული უკანონობის აღმოფხვრას, არამედ თვლის, რომ აღნიშნული ხელს შეუწყობს სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამისი თანხების აკუმულირებას.

## ცვლილებები და დამატებები საქართველოს კანონში „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“

ნინო ჩოხელი\*

2002 წლის 4 ივლისის ცვლილებები და დამატებები საქართველოს 1996 წლის 24 მარტის კანონში „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ მიზნად ისახავს კომერციული ბანკების სალიცენზიო მოთხოვნების გამკაცრებას. კერძოდ, იგი განსაზღვრავს ბანკისათვის ლიცენზიის გაცემის ერთ-ერთ პირობად ადმინისტრატორთა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელ აქციონერთა (კანონით და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ) შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობას. ამრიგად, კანონის წინანდელი რედაქციით გათვალისწინებული დირექტორთა შესაფერისობის კრიტერიუმები ახალი რედაქციით ვრცელდება აგრეთვე ბანკის სხვა ადმინისტრატორებზე და მნიშვნელოვანი წილის მფლობელ აქციონერებზე. კანონში მოცემული განმარტებების თანახმად, „ადმინისტრატორის“ ცნება დირექტორატის წევრის გარდა მოიცავს სამეთვალყურეო საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრს და აგრეთვე პირს, რომელიც დამოუკიდებლად ან ერთ ან მეტ პირთან ერთად უფლებამოსილია იკისროს ვალდებულებები ბანკის სახელით. რაც შეეხება მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერის განსაზღვრებას აღნიშნული ცვლილებებით კანონის ტექსტს დამატა ამ ტერმინის განმარტება, რომლის თანახმადაც, „მნიშვნელოვანი წილი“ წარმოადგენს კომერციული ბანკის განცხადებული ან განაღდებული საწესდებო კაპიტალის 5 და 5-ზე მეტ პროცენტთან წილს.

ზემოაღნიშნულიდან აშკარაა, რომ კანონმდებელმა მნიშვნელოვნად გააფართოვა პირთა წრე რომლებზეც შესაფერისობის კრიტერიუმების მოქმედება ვრცელდება და გარდა პირებისა რომლებიც ბანკის ყოველდღიურ მართვაში მონაწილეობენ, მოიცვა აგრეთვე ისინი, ვინც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ბანკის მართვაზე, აკონტროლებენ მის მენეჯმენტს და რომელთა საქმიანობაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბანკის წარმატებული ფუნქციონირება.

შესაფერისობის კრიტერიუმების დაწესება, და ზოგადად, ბანკების საქმიანობის მკაცრი რეგულირებისა და ზედამხედველობის ჩარჩოებში მოქცევა, განპირობებულია საბანკო სექტორის განსაკუთრებული როლით ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურ ფუნქციონირებაში და მისი სპეციფიკით, როდესაც რისკის ქვეშ მოსახლეობის ფულადი დანაზოგები (დეპოზიტები) ექცევა და ბანკის წარუმატებლობას შედეგად მენაბრეთა მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგები შეიძლება მოჰყვეს. ეს უკანასკნელი კი შეასუსტებს ბანკებისადმი მოსახლეობის ნდობას, რაც ამ სექტორის წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. შესაფერისობის კრიტერიუმების მთავარი

\* GEPLAC-ის ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში.

დანიშნულებაა ბანკის საქმიანობის სანციის ეტაპზევე მოახდინოს ერთგვარი გაფილტვრა და არ დაუშვას ბანკის მართვის არაკვალიფიციურ და არაკეთილსინდისიერ პირთა ხელში ჩაგდება, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ბანკის ეფექტიან და მომგებიან ფუნქციონირებას.

ცვლილებათა თანახმად ადმინისტრატორთა, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, შესაბამისობის კრიტერიუმებს ადგენს ეროვნული ბანკი, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერების შესაფერისობის კრიტერიუმები მოცემულია თავად კანონში.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერების შესაფერისობის კრიტერიუმები ადგენს რეპუტაციასთან დაკავშირებულ გარკვეულ მოთხოვნებს და ამ პირთა კეთილსინდისიერებისა და პატიოსნების კუთხით შეფასებას ემსახურება. კერძოდ, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერების ბიოგრაფიაში არ უნდა არსებობდეს ბანკებთან და არასაბანკო დაწესებულებებთან ურთიერთობის უარყოფითი პრაქტიკა, მაგალითად პირს ეკრძალება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა ან მნიშვნელოვანი წილის ფლობა: თუ იგი მონაწილეობდა ისეთ ოპერაციაში, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ბანკს ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას; გამოიწვია მისი გადახდისუუნარობა ან გაკოტრება; ასეთ დაწესებულებაში მუშაობისას ბოროტად გამოიყენა თავისი უფლებები; წარსულში იყო ბანკის ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ადმინისტრატორი და მისი საქმიანობის შედეგად აღნიშნული დაწესებულება გადახდისუუნარო გახდა; ბანკის ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიმართ არ შეასრულა ფინანსური ვალდებულება და სხვა. გარდა ზემოაღნიშნულისა, ბანკის ადმინისტრატორი ან მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც „გამოცხადებულია გაკოტრებულად, ნასამართლევა ეკონომიკური დანაშაულისათვის ან მასზე ვრცელდება კანონმდებლობით დადგენილი სხვა აკრძალვები“.

ამასთან, კანონი ზღუდავს რეპუტაციასთან დაკავშირებული კრიტერიუმების მოქმედებას, მოითხოვს რა მათში მითითებული გარემოებების სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებას. ამგვარი შეზღუდვა არამიზანშენილიად მიგვაჩნია, ვინაიდან სასამართლოსაგან ინფორმაციის მიღება შეიძლება რთულ და გაჭიანურებულ პროცედურად იქცეს, მაშინ როცა შესაბამის ინფორმაციას შეიძლება ფლობდეს ზედამხედველი ორგანო. აგრეთვე საკამათოა, თუ რატომ ზღუდავს კანონმდებელი რეპუტაციასთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს პირის მხოლოდ საბანკო და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებთან ურთიერთობით და რატომ არ უნდა ვრცელდებოდეს შეზღუდვები პირზე, რომელმაც გაკოტრებამდე მიიყვანა სადაზღვევო კომპანია ან ნებისმიერი სხვა სამეწარმეო საზოგადოება. ამდენად, ლიცენზიის გამცემი ორგანოს მიერ პირის შესაფერისობის დადგენისას მხოლოდ ზემოაღნიშნული კრიტერიუმებით შემოფარგვლა არაა საკმარისი საჭირო შედეგის მისაღწევად. მიზანშეწონილია ზედამხედველის მიერ აგრეთვე ისეთი გარემოებების გათვალისწინება, როგორიცაა მაგალითად პირისათვის წარსულში უარის თქმა საფინანსო საქმიანობის განხორციელების ლიცენზიის გაცემაზე ან მისი ჩამორთმევა; საფინანსო სექტორში მოღვაწეობისას მარეგულირებელი ორგანოს მიერ მის მიმართ სანქციების გამოყენება; პროფესიულ გაერთიანებაში განევრინებაზე უარის თქმა ან გარიცხვა; დანაშაულებრივი წარსული; საეჭვო საქმიანობები და სხვ.<sup>1</sup>

ბანკის ადმინისტრატორების (გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა) შესაფერისობის კრიტერიუმები ჩამოყალიბებულია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 16 სექტემბრის №234 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში „კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ“. დებულების თანახმად, ბანკის ადმინისტრატორი უნდა აკმაყოფილე-

<sup>1</sup> იხ. ბანკების ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის, ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის (IOSCO) და დაზღვევის ზედამხედველების საერთაშორისო ასოციაციის (IAIS) მიერ ერთობლივად შერამუშავებული დოკუმენტი „ფინანსური კონგლომერატების ზედამხედველობა“, 1999, 40.

ბდეს ორი სახის კრიტიერიუმს. ესაა პროფესიული კრიტიერიუმები და რეპუტაციასთან (სანდოობასთან, პატიოსნებასთან) დაკავშირებული კრიტიერიუმები. დებულებით გათვალისწინებული რეპუტაციასთან (სანდოობასთან, პატიოსნებასთან) დაკავშირებული კრიტიერიუმები არსებითად იმეორებს კანონით დადგენილ სამეთვალყურეო საბჭოსა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერებისათვის დადგენილ კრიტიერიუმებს და მათზე აგრეთვე ვრცელდება ზემოთგამოთქმული შენიშვნები.

გარდა რეპუტაციასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა ბანკის ადმინისტრატორები აგრეთვე უნდა აკმაყოფილებდნენ პროფესიულ კრიტიერიუმებს, და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ისინი აღმასრულებელ პირებს წარმოადგენენ, რომლებიც ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას უძღვებიან. კერძოდ, ბანკის ადმინისტრატორს უნდა გააჩნდეს შესაბამისი პროფესიული განათლება და საბანკო-საფინანსო სექტორში მუშაობის გამოცდილება. მოთხოვნები განსხვავდება თანამდებობრივი იერარქიის მიხედვით.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებები, მიუხედავად მითითებული ხარვეზებისა, უდავოდ პროგრესულ ხასიათს ატარებს და მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში დამკვიდრებულ პრაქტიკას ეხმაურება. შესაფერისობის კრიტიერიუმების ამოქმედება მნიშვნელოვნად შეზღუდავს ბანკის მმართველობაში არაპროფესიონალი და არაკეთილსინდისიერი პირების მოსვლას, რაც წარსულში არაერთხელ გამხდარა ბანკების გადახდისუნარიანობისა და გაკოტრების მიზეზი. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს საბანკო სექტორის გაძლიერებას და მისდამი მოსახლეობის ნდობის შემდგომ გაღრმავებას.

## **ცვლილება საქართველოს კანონში „ნოტარიატის შესახებ“**

### **ნიკოლოზ რუშუა\***

საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე სრულფასოვანი გადასვლისათვის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა საქმიან ურთიერთობათა პროცესში პროგნოზირებადობისა და ეკონომიკურ პარტნიორთა ურთიერთსაიმედოობის მაღალი ხარისხი, რასაც სხვა ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კანონის ნორმების არაორაზროვნება და კონკრეტულობა.

ეფექტიანი და დაუბრკოლებელი საქმიანი ურთიერთობისათვის ასევე აუცილებელი ფაქტორია სამართლებრივი ურთიერთობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტურების იოლი და საიმედო მექანიზმი, როგორსაც განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში ნოტარიუსის ინსტიტუტი წარმოადგენს.

საქართველოში ნოტარიატის მონყობასა და ნოტარიუსის სამსახურებრივი საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს და სანოტარო მოქმედებათა შესრულების ძირითად მოთხოვნებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ. ნოტარიატის, როგორც საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტის, ამოცანას წარმოადგენს პირებს შორის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში სამართლებრივ ურთიერთობათა და იურიდიულ ფაქტთა დადასტურება.

საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ 21-ე მუხლის საშუალებით არეგულირებს ნოტარიუსის თანამდებობიდან განთავისუფლებასა და მისი საქმიანობის დროებით შეწყვეტის საკითხებსა და შესაბამის პროცედურებს.

\* GEPLAC-ის ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში.

კანონში ამ ცვლილების შეტანამდე კანონის პირველადი ფორმა არასათანადოდ აღწერდა ნოტარიუსის უფლებამოსილების დროებით შეჩერების საკითხებს, იმდენად რამდენადაც ხმარობდა ტერმინ „გადაყენება“-ს და არანაირად არ განმარტავდა არსებით განსხვავებას სიტყვა „გადაყენება“-სა და „განთავისუფლება“-ს შორის. ეს ბუნდოვანს ხდიდა კანონში არსებულ და ნაგულისხმევ დიფერენციაციას ნოტარიუსის უფლებამოსილების დროებით შეჩერებასა და მისი უფლებამოსილების სამუდამო ჩამორთმევას შორის. წინამდებარე ცვლილება ასწორებს კანონში მანამდე არსებულ ბუნდოვანებას და გასაგებს ხდის კანონმდებლის განზრახვას, მიუთითებს რა ნოტარიუსის უფლებამოსილების შეჩერების დროებითობაზე, რასაც იგი აღწევს სიტყვა „გადაყენების“ ტერმინ „შეჩერებით“ ჩანაცვლების მეშვეობით.

წინამდებარე ცვლილებაში აგრეთვე მოცემულია შემთხვევები, რომელთა დროსაც ნოტარიუსი თავისუფლდება თანამდებობიდან. კერძოდ, ასეთი ეფექტის მქონე მოვლენებად დამატებულია შემდეგი: ნოტარიუსის გარდაცვალების ფაქტი (ქვეპუნქტი ა); ნოტარიუსის მიერ საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა (ქვეპუნქტი გ); ნოტარიუსის უცხოეთში სამუდამოდ საცხოვრებლად წასვლა (ქვეპუნქტი დ); ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშვნა კანონით დადგენილი წესების დარღვევით, მიუხედავად დარღვევის ხანდაზმულობისა (ქვეპუნქტი თ).

მოცემული ცვლილება აგრეთვე აუქმებს ნოტარიუსის თანამდებობიდან გადაყენების (უფლებამოსილების შეჩერების) ერთ-ერთ საფუძვლად მანამდე არსებულ ბუნდოვანსა და ამ კანონის მიერ არადეფინირებულ სტანდარტს, როგორცაა „მძიმე დანაშაულის ჩადენა“ (ნაწილი 2, ქვეპუნქტი ა). ცვლილება აკონკრეტებს უფლებამოსილების შეჩერების ცალკეულ შემთხვევას, რითაც აბათილებს კანონის პირვანდელ ვერსიაში არსებულ არამიზანშენილი ინტერპრეტირების შესაძლებლობას.

წინამდებარე ცვლილება ასევე ეხება ნოტარიუსის საჯარო რეესტრიდან ამორიცხვის ვალდებულებას იმ შემთხვევაში, როდესაც ნოტარიუსს უწყდება უფლებამოსილება. ეს მნიშვნელოვნად გააიოლებს დაინტერესებულ მოქალაქეთათვის იმის დადგენას, აქვს თუ არა, ან ჰქონდა თუ არა კონკრეტულ ნოტარიუსს ასეთი მომსახურების განევის კანონიერი უფლებამოსილება. კანონის პირველადი ვერსია ამგვარ მოთხოვნას არ შეიცავს, რაც უფლებამოსილებაშენწყვეტილ ნოტარიუსს ანიჭებდა უკანონოდ მოქმედების გაიოლებულ შესაძლებლობას.

ამდენად, ზემოხსენებულ ცვლილებას კანონისათვის ორაზროვნებისა და ბუნდოვანების არიდებისათვის საჭირო, მოცემული კონკრეტიზირების წყალობით პირვანდელ ვარიანტთან აშკარა უპირატესობა გააჩნია.

2002 წლის მეორე-მესამე კვარტალში მიღებული ძირითადი ნორმატიული აქტები

საქართველოს კანონები

|            |   |                          |
|------------|---|--------------------------|
| 10.04.2002 | სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ   | №1356,<br>სსმ 9, მუხ. 43 |
| 10.04.2002 | „საპარლამენტო ფრაქციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე                                 | №1364<br>სსმ 9, მუხ. 42  |
| 10.04.2002 | „იმპიჩმენტის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე                                   | №1358<br>სსმ 9, მუხ. 40  |
| 15.04.2002 | „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ                                    | №1380<br>სსმ 9, მუხ. 41  |
| 07.05.2002 | სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ   | №1392<br>სსმ 13, მუხ. 49 |
| 07.05.2002 | „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე                                  | №1397<br>სსმ 13, მუხ. 54 |
| 07.05.2002 | საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ   | №1395<br>სსმ 13, მუხ. 50 |
| 07.05.2002 | „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე                        | №1394<br>სსმ 13, მუხ. 53 |
| 07.05.2002 | საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ                                   | №1393<br>სსმ 13, მუხ. 51 |
| 07.05.2002 | „საშიში სანარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე | №1391<br>სსმ 13, მუხ. 52 |
| 07.05.2002 | „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე           | №1388<br>სსმ 12, მუხ. 47 |
| 14.05.2002 | „სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე             | №1422<br>სსმ 15, მუხ. 60 |

\* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (სსმ) წარმოადგენს საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოს.

**საკანონმდებლო სიხსლენი**

|            |   |                          |
|------------|---|--------------------------|
| 14.05.2002 | „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე | №1420<br>სსმ 16, მუხ. 66 |
| 14.05.2002 | „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე          | №1418<br>სსმ 17, მუხ. 71 |
| 14.05.2002 | „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე        | №1410<br>სსმ 15, მუხ. 59 |
| 14.05.2002 | „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე                   | №1409<br>სსმ 13, მუხ. 55 |
| 14.05.2002 | „ნდობის ჯგუფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე                       | №1407<br>სსმ 15, მუხ. 57 |
| 14.05.2002 | „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე                | №1405<br>სსმ 13, მუხ. 48 |
| 14.05.2002 | „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე                     | №1441<br>სსმ 17, მუხ. 70 |
| 15.05.2002 | „საქართველოს პარლამენტის კომიტეტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე               | №1431<br>სსმ 11, მუხ. 45 |
| 18.05.2002 | „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე      | №1462<br>სსმ 16, მუხ. 68 |
| 18.05.2002 | „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე                      | №1460<br>სსმ 15, მუხ. 64 |
| 18.05.2002 | საქართველოს საგადასახადო კოდექსში დამატების შეტანის შესახებ   | №1458<br>სსმ 15, მუხ. 63 |
| 18.05.2002 | „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე  | №1453<br>სსმ 15, მუხ. 58 |
| 18.05.2002 | „მიგრანტთა ინსპექტირების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე | №1451<br>სსმ 16, მუხ. 67 |

**საკანონმდებლო სიხსლენი**

|            |   |                           |
|------------|---|---------------------------|
| 07.06.2002 | საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ   | №1504<br>სსმ 18, მუხ. 76  |
| 07.06.2002 | საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ   | №1500<br>სსმ 18, მუხ. 74  |
| 07.06.2002 | საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ   | №1498<br>სსმ 18, მუხ. 73  |
| 04.07.2002 | „დასაქმების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე                                    | №1648<br>სსმ 23, მუხ. 120 |
| 04.07.2002 | „მცირე სანარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე | №1641<br>სსმ 23, მუხ. 119 |
| 04.07.2002 | საქართველოს საგადასახადო კოდექსში დამატების შეტანის შესახებ   | №1639<br>სსმ 24, მუხ. 121 |
| 04.07.2002 | „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ            | №1635<br>სსმ 23, მუხ. 117 |
| 04.07.2002 | „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე                  | №1633<br>სსმ 23, მუხ. 116 |
| 04.07.2002 | საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებებისა და ცვლილების შეტანის თაობაზე            | №1631<br>სსმ 23, მუხ. 115 |
| 04.07.2002 | საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე                      | №1629<br>სსმ 23, მუხ. 114 |
| 04.07.2002 | საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე                    | №1627<br>სსმ 23, მუხ. 113 |
| 04.07.2002 | საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ    | №1625<br>სსმ 23, მუხ. 112 |
| 04.07.2002 | „ნდობის ჯგუფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე                                 | №1623<br>სსმ 23, მუხ. 111 |
| 04.07.2002 | საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ    | №1621<br>სსმ 23, მუხ. 110 |



## საკანონმდებლო სიასტენი

---

|            |   |                           |
|------------|---|---------------------------|
| 04.07.2002 | „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე | №1617<br>სსმ 23, მუხ. 108 |
| 13.09.2002 | „საქართველოს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე       | №1660<br>სსმ 25, მუხ. 122 |
| 27.09.2002 | საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ   | №1679<br>სსმ 27, მუხ. 126 |
| 27.09.2002 | „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე                    | №1681<br>სსმ 27, მუხ. 127 |

### საქართველოს პარლამენტის დადგენილებები

|            |  |
|------------|--|
| 27.09.2002 | საქართველოს პარლამენტის დადგენილება №1673 „საქართველოს მთავრობასა და ნიდერლანდების სამეფოს მთავრობას შორის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და შემოსავალზე გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“ შეთანხმების რატიფიცირების თაობაზე |
| 27.09.2002 | საქართველოს პარლამენტის დადგენილება №1674 „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის შესწორების რატიფიცირების თაობაზე  |
| 27.09.2002 | საქართველოს პარლამენტის დადგენილება №1675 „ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“ ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებით ოქმთან შეერთების თაობაზე  |
| 27.09.2002 | საქართველოს პარლამენტის დადგენილება №1676 „სუუამ-ის წევრ სახელმწიფოთა შორის საკონსულო საკითხებში ურთიერთდახმარების აღმოჩენის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირების თაობაზე   |
| 27.09.2002 | საქართველოს პარლამენტის დადგენილება №1677 „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ კონვენციის „ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვის შესახებ“ დამატებითი ოქმის რატიფიცირების თაობაზე   |

**საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები**

- 17.05.2002 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 240 საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ
- 17.05.2002 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 241 სამართალმემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ
- 21.05.2002 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 249 საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელების ხელშეწყობის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 24 ივლისის № 317 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ
- 23.05.2002 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 256 საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის 2001 წლის 5 ნოემბერს ხელმოწერილი საგრანტო ხელშეკრულების „სოციალური დაცვის რეფორმის პროექტი“ და „სოციალური ინვესტიციების ფონდის მეორე პროექტი“ დამტკიცებისა და ძალაში შესვლის შესახებ
- 26.05.2002 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 280 საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ
- 28.09.2002 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 69 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემაში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბის შემცირებისა და კორუფციასთან ბრძოლის პირველი რიგის ღონისძიებათა შესახებ

**საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებები**

- 23.05.2002 საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 648 „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის ხელმოწერის თაობაზე
- 23.05.2002 საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 649 საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამხედრო სფეროში გრანტის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე
- 28.05.2002 საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 681 საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოს შორის „საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე
- 10.09.2002 საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 1187 „საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე
- 10.09.2002 საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 1188 „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და რუმინეთის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს შორის სამხედრო მედიცინის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე